



სააპელაციო საბჭოს
ბადაყვივთილება
ქ. თბილისი



MES 6 20 0000659009



03/08/2020

**შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის"
(ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამაზე
წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ**

2020 წლის 16 ივლისს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №608087) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 3 ივლისის №554434 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2020 წლის 30 ივლისს, სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 28³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას განსახილველად შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის 2020 წლის 16 ივლისის №608087 სააპელაციო საჩივარი.

2. სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 31 ივლისის MES 2 20 0000649367 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. ოქოჭიძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
მდივანი
ჭეიშვილი დავით

